ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის სხდომაზე
განხილულ საკითხთა ნუსხა

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045);

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045);

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073317 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით შპს ,,ოპტიმლაინი“ -სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

8. (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N15 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

9. ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N9 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

10. შპს ,,ქობულეთის წყალი“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N35-1142205647 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

11.შპს,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს 2022 წლის 18 თებერვლის N34 მომართვა -2021 წელსგაწეულიმუშაობისანგარიშისშესახებ;

12. (ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N34-1142205673 მომართვა -2021 წელსგაწეულიმუშაობისანგარიშისშესახებ;

13. ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი“-ს 2022 წლის 28 თებერვლის N23 მომართვა -2021 წელსგაწეულიმუშაობისანგარიშისშესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N3

ქ.ქობულეთი 30 მარტი 2022 წელი

სხდომადაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 15-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე,ჯემალ ბლადაძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, გიორგი გოგიტიძე, დავით პაპუნაიშვილი, გელა შაქარიშვილი, ირაკლი ქათამაძე, ზურაბ ხინიკაძე, მირზა მახარაძე, არჩილ ჯაფარიძე,ლაშა კომახიძე, ილონა ანანიძე, , გელა გოგიტიძე, ავთანდილ გოგიბერიძე, სულხან გორჯელაძე, გიორგი კარალიძე, ლევან მახარაძე, ია მესხიძე, დავით ოქროპირიძე, ზაზა თხილაიშვილი, ნატო შამილიშვილი,იოსებ ჟღენტი, სოლომონ ბაჯელიძე, მერაბ ცინცაბაძე, შოთა გოგიტიძე, იამზე ცალქალამანიძე,

სხდომას არ ესწრებოდა: მამია ჟორდანია, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი,ჯეირან წულუკიძე, ედნარ თურმანიძე, ალექსანდრე ხიდაშელი,ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე,სოსო ქიზინიძე.

ლია შაქარიშვილი - იმყოფებოდა მივლინებაში.

მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ხელმძღვანელები და თანამშრომლები: სულიკო თხილაიშვილი, ზურაბ ამაღლობელი, გელა გოგიტიძე, მინდია მეგრელიძე,

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მამუკა გოგიტიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მშვიდობა უსურვა უკრაინას და მთელს მსოფლიოს. საკრებულოს

წევრებმა უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის აგრესიული ქმედებები დაგმეს და სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს.

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინის ომში დაღუპული გმირების ხსოვნას. შემდეგ გააცნო წარმოდგენილი დღის წესრიგი დეპუტატებს და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

მერაბ ცინცაბაძე - გააკეთა განცხადება საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით ხელფასის მატების თაობაზე.

ლაშა კომახიძე - ,,როგორც ვიცით საქართველო არის უკრაინის ორ ქალაქთან დამეგობრებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თუ გააკეთა რაიმე სახის ქმედითი ნაბიჯები, დახმარება თუ გაუწიეთ და რა სახით?

დავით მჭედლიშვილმა - განმარტა, რომ ჩვენ გვაქვს კავშირი ჩვენს უცხოელ მეგობრებთან, მუნიციპალიტეტის სახელით ფონდში გადაირიცხა თანხა 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდა ჰუმანიტალური დახმარების შეძენას. გარდა ამისა ყველა ჩვენთაგანს გვაქვს საშუალება იმისა, რომ ჰუმანიტარულ აქციაში, რომელიც მიმდინარეობს ქვეყნის მაშტაბით ჩავერთოთ და მივიღოთ მონაწილეობა.

აღნიშნულ განცხადებას ხმაური მოჰყვა, ოპოზიციის თქმით მუნიციპალიტეტიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ფონდში გადარიცხულ 10 000 ლარი მეტი გამჭვირვალეობისთვის უნდა შეთახმებულიყო საკრებულოსთან და დოკუმენტაციას უნდა გაცნობოდა ყველა წევრი.

ნათია თხილაიშვილის განმარტებით ეს იყო ოფიციალური მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გაჟღერდა ტელევიზიით, და გადმოიცა ყველა საინფორმაციო არხის მიერ, სადაც აჭარამ ცალკე მიიღო მონაწილეობა და 10 000 ლარი აჭარის ექვსმა მუნიციპალიტეტმა მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით ჩარიცხა.

სოლომონ ბაჯელიძე - გააკეთა განცხადება ქობულეთში ალტ-ინფოს კონსერვატიული ოფისის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, მისი თქმით ორგანიზაციის წარმომადგენლებიდან ისმის პრორუსული განცხადებები, და მათი სურვილია საქართველოში შეუწყონ ხელი რუსულ პოლიტიკას. რის გამოც იყო პროტესტი საზოგადოებასთან ერთად, მან მიმართა თავმჯდომარეს აპირებთ თუ არა პოზიციის დაფიქსირებას საჯაროდ. ოპონენტებმა მოითხოვეს საკრებულოს თავმჯდომარეს საჯაროდ გაეპროტესტებინა ოფისის გახსნა.

დავით მჭედლიშვილის თქმით ყველას აქვს უფლება გამოხატოს თავისი ნება თუმცა აღნიშნულ ორგანიზაციას არა აქვს მომავალი და ჩანასახშივე არის მკვდარი. მისი თქმით საზოგადოებას ევროპული კურსი აქვს აღებული და შესაბამისად პრორუსული პარტია, როგორიც ალტ-ინფოა, ვერ განხორციელდება. ხოლო, რაც შეეხება საჯაროობას საკრებულოს სხდომაზე გაკეთებული ყველა განცხადება საჯაროა.

იამზე ცალქალამანიძის და ილონა ანანიძის თქმით - აღნიშნული ოფისის გახსნის დღეს მოხდა ახალგაზრდა ბავშვების ცემა და დარბევა რაც მიუღებელია, ეს იყო კონსტიტუციის პირდაპირი დარღვავა.

აღნიშნულ განცხადებას ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ -ს თავმჯდომარემ გიორგი გოგიტიძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის ფორმა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის, მან ოპოზიციის ქმედებას პოპულისტური უწოდა, მისი თქმით სასაცილიო მსგავსი საქციელით გამოხატვა. მოსახლეობამ თავის დროზე გამოხატა თავისუფალი ნება და ნდობა გამოუცხადა არჩევნებში მმართველ გუნდს. საკრებულოს სხდომა ტარდება მოსახლეობის ინტერესების გადაწყვეტილებების მისაღებად, რომ საკრებულოს სხდომაზე გაკეთებული განცხადება არის საჯარო, მან მოუწოდა რეგლამენტის დაცვისკენ და პროცესის სწორად გაცნობისკენ.

ოპოზიციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ვერ მიიღეს პასუხი დასმულ შეკითხვებზე, რის გამოც პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვეს. აღნიშნულ დაპირისპირებას საკრებულოს თავმჯდომარემ და წევრებმა შეგნებულად პროვოცირებული უწოდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მთლიანი დღის წესრიგი:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045);

(მომხსენებელი:ქობულეთისმუნიციპალიტეტისმერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ლაშა ანანიძე)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთისმუნიციპალიტეტისმერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ლაშა ანანიძე)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045);

(მომხსენებელი: ქობულეთისმუნიციპალიტეტისმერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ლაშა ანანიძე)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073317 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით შპს ,,ოპტიმლაინი“ -სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ლაშა ანანიძე)

8. (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N15 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: გიორგი მჟავანაძე)

9. ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N9 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: დავით ნიჟარაძე)

10. შპს ,,ქობულეთის წყალი“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N35-1142205647 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ოთარი ზოიძე)

11.შპს,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს 2022 წლის 18 თებერვლის N34 მომართვა -2021 წელსგაწეულიმუშაობისანგარიშისშესახებ;

(მომხსენებელი: მერაბ პაპუნაიშვილი)

12. (ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N34-1142205673 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ზვიად რომანაძე)

13. შპს ,,ქობულეთის სოფლის წყალი“-ს 2022 წლის 28 თებერვლის N23 მომართვა - 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: სულიკო თხილაიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას განსახილველად და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა გოგიტიძის 2022 წლის 18 მარტის N40-115213433 განცხადება - უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი, კომისიას შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გელა გოგიტიძეს შეუწყდეს ვადამდე ადრე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2022 წლის 19 მარტიდან.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - საკრებულოს წევრის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია განკარგულება N02

(განკარგულება თანერთვის)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ შეიმუშავა და კომისიის წევრებს წარუდგინა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება. ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში შევიდა რიგი ცვლილება შესაბამისად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №34 დადგენილება და დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი თანახმად დანართისა.

დავით წულუკიძემ ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს ორ მუდმივ კომისიას შეეცვალა სახელი, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიას დაემატა ინფრასტრუქტურა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობა. ხოლო განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიას დაერქვა განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია. ასევე,ფრაქციის როლი არის ძალიან დიდი საკრებულოს მუშაობაში. წარმოდგენილ რეგლამენტში გათვალისწინებულია ასევე, ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს საკითხები. ასევე გაძლიერდა ფრაქციის როლი და საკრებულოს დეპუტატის უფლებამოვალეობები და პასუხისმგებლობა, კომისიებში მუშაობის უფლებამოვალეობა და მუშაობის წესი.

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა რეგლამენტის ჩართულობაში მონაწილეებს, საკრებულოს აპარატს და კომისიას გაწეული მუშაობისთვის.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია დადგენილება N07

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომკომისიამ შეიმუშავა და კომისიის წევრებს წარუდგინა კომისიის დებულება.ეს დებულება,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის უფლებამოსილებას,სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია დადგენილება N08

(დადგენილება თან ერთვის)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) - მოხსენება გააკეთა ზურაბ ამაღლობემა, რადგან გარკვეული მიზეზების გამო სხდომას არ ესწრებოდა მომხსენებელი ლაშა ანანიძე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი განხილულ იქნა მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შპს „მაგთიკომი“-ს ანძა და მომართვა იყო, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შეძენა მოეხდინა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში და დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია განკარგულება N06

(განკარგულება თან ერთვის)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ – მოხსენება გააკეთა ზურაბ ამაღლობელმა, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია განკარგულება N06

(განკარგულება თან ერთვის)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) - მოხსენება გააკეთა, ზურაბ ამაღლობელმა, რომელმაც განმარტა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს ცვლილება - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში და დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია განკარგულება N06

(განკარგულება თან ერთვის)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073317 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით შპს ,,ოპტიმლაინი“ -სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - მოხსენება გააკეთა ზურაბ ამაღლობელმა, რომელმაც განმარტა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით შპს ,,ოპტიმლაინი“ -სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ გვარასა და ხუცუბანში მდებარე 170 (ასსამოცდაათი) გარე განათების ბოძი, არსებულ ქონებაზე მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ხოლო წლიური საიჯარო ფასი განისაზღვროს 1 (ერთ) ბოძზე 50 თეთრის ოდენობით.

თედო ტაკიძე - სასურველია გადაიხედოს არსებული ფასები სამომავლოდ რაც ბიუჯეტისთვისაც კარგი იქნება, ასევე წარმომადგენელის მოსვლაც კარგი იქნება და მოსმენაც, რომ რაიმე სახის დაბრკოლებები ხომ არ შეიქმნება.

ზურაბ ამაღლობელი - შესაძლებელია მოწვევა წარმომადგენლის და ყველა დაინტერესებულ კითხავს გაეცეს პასუხი, როცა თქვენ მოისურვებთ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

მიღებულია განკარგულება N06

(განკარგულება თან ერთვის)

8. (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება"-ს 2022 წლის 14 თებერვლის N15 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება"-სდირექტორმა გიორგი მჟავანაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2021 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით შესრულებულ იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

რადგანაც ა(ა)იპ „ ქობულეთის სანდასუფთავება" არის სპეციფიკური სამსახური სამუშაო იწყება ყოველდღიურად დილის 6 საათიდან და ხდება ქალაქის ტერიტორიის დაგვა დასუფთვება, ასევე დაბა ჩაქვის მიმართულებით დაგვა დასუფთავება, რომელსაც ახორციელებს 99 მეეზოვე. ასევე ხდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში დაგვა დასუფთავება ქალაქის ტერიტორიაზე. მოხდა უბნების დამატება კარიერის ემტეესის გელაურის, სადაც ვახორციელებთ ყველა დღიურ დაგვა დასუფთავებას.

ქობულეთის სანდასუფთავებაში დასაქმებულია 219 შტატიანი თანამშრომელი და 36 შტატგარეშე თანამშრომელი (ერთწლიანი), ასევე ზაფხულის სეზონზე აყვანილი გვყავდა 92 შტატგარეშე მეეზოვე, აქედან 10 მობილური ჯგუფის წევრი, რომლებიც ყოველდღიურად ახდენდნენ ზღვის ზოლის დალაგებას.

შტატიან თანამშრომლებზე წლის განმავლობაში სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 1477833 ლარი, წლის ბოლოს მოხდა 50%-იანი პრემიების გაცემა, რომელმაც შეადგინა 89925 ლარი, ხოლო შტატგარეშე თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 348047 ლარი.

ასევე ვახდენთ ცენტრალური გზების სოფლებთან მისასვლელი გზებისა, ავტობანთან მისასვლელების გზების დალაგებას, რომელსაც ახორციელებს მობილური ჯგუფი. მობილური ჯგუფი ახორციელებს წლის განმავლობაში სკვერების, მწვანე ზოლებისა და ზღვისპირა ზოლის დაგვა დასუფთავებას.

ნარჩენების გატანას ვახდენთ ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე ნაგავშემკრელი სპეცმანქანებითა და ღია თვითმცლელი მანქანებით. სულ ქობულეთის მუნიციპალიტეტს ემსახურება 17 სპეცტექნიკა.

მოგახსენებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის უკანონო ნაგავსაყრელები, რომლის გატანა დახურვას ემსახურება ქობულეთის სანდასუფთავება წლის განმავლობაში.

გამოცხადებული იყო 14 ტენდერი, მათშორის ხელშეკრულება გაფორმდა 11 პრეტენდენტთან, ხოლო 2 ტენდერი არშედგა ერთი კი შეწყდა. ძირითადი ტენდერების ჩამონათვალშია, ოფისისათვის საჭირო საგნები და მასალების შეძენა, უნიფორმის შეძენა და ტრანსპორტის ხარჯი. ტენდერების საერთო ღირებულება შეადგენს 324,266 ლარს.

გამოცხადებული ტენდერებია:

ა) მოხდა ზეთებისა და საპოხი მასალების შეძენა (გამოცხადებული იყო 1 ტენდერი NAT210006863) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 6408 ლარზე, ასევე კონსოლიდირებული ტენდერით დიზელის ძრავის ზეთი 5700 ლარი. ჯამში შეძენილ იქნა 12108 ლარის ზეთები და საპოხი საშუალებები.

ბ) შეძენილ იქნა საოფისე ინვენტარი, კერძოდ ბამბუკის ცოცხი, მინდვრის ცოცხი , და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ცოცხები, სულ 83980 ლარის (გამოცხადებული იყო ორი ტენდერი NAT210013070, NAT210001264).

გ) შეძენილ იქნა ააიპ ,,ქობულეთის სანდასუფთავების" ბალანსზე არსებული ავტომანქანებისათვის საბურავები, (სულ გამოცხადებულ იქნა 2 ტენდერი NAT210005188,NAT210001477) ხელშეკრულება გაფორმებულია 13960 ლარზე. ასევე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბურავზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 25028 საერთო ჯამში საბურავების შეძენაში გადახდილია 38988 ლარი.

დ) მოხდა სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებაზე ორი ტენდერის გამოცხადება სულ ჯამში 65000 ლარზე, (NAT200019936 NAT210020844). ასევე პირდაპირი შესყიდვით მოხდა ხელშეკრულების გაფორმება შპს ,,ჯითიგრუპთან ავტომობილის რემონტზე 55880 ლარზე (შენიშვნა: განსაზღვრული წლოვანების ავტომობილებზე, რომლებზეც ვრცელდება გარანტია ესარის ფორდი კარგო ნაგავშემკრები 2019 წლის და ივეკო ნაგავშემკრები) საერთო ჯამში რემონტებზე დაიხარჯა 120880 ლარი.

ე) ააიპ ,,ქობულეთის სანდასუფთავებაში" მომუშავე თანამშრომლებისათვის მოხდა უნიფორმების შეძენა (მაისურების, კეპების, მანათობელი ჟილეტების, შარვალისდა ქურთუკის, დათბილული ქურთუკის, საწვიმარი ლაბადებისა და სამუშაო ხელთათმანების.) ტენდერით სახელშეკრულებო თანხამ ჯამში შეადგინა 62147 ლარი გამოცხადებული იყო სამი ტენდერი (**NAT210001309**, NAT210013278NAT210019915). მათ შორის ტენდერი გამოცხადებულ იქნა ფეხსაცმელებზე მაღალყელიან ჩექმებზე და სპეც ფეხსაცმელზე (ჩექმა რკინის დამცავი ცხვირით) NAT210018103 ხელშეკრულება გაფორმდა 8890 ლარზე.

ვ) ასევე განხორციელდა ელექტრონული 1 ტენდერის გამოცხადება ნარჩენების განთავსებაზე ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე (NAT200020467). ტენდერით სახელშეკრულებო თანხამ ჯამში შეადგინა 40704 ლარი.

ასევე მოხდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან გამარტივებული პირდაპირი შესყიდვით ორგანიზაციისათვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების შეძენა, რომლის ღირებულებამ შეადგინა ჯამში 78260 ლარი.

- CMR200003980 ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა სს ,,სილქნეტთან" 840 ლარზე.

ხელშეკრულების გაფორმება მოხდა საკანცელარიო ნივთებზე (CMR210008682)შპს ,,ალ“ 635 ლარზე და 400 ლარზე (CMR210008182),ასევე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა CON210000120 **შპს,,პენსანჯორჯია“ - ქაღალდი** -359.05 ლარი.

- პირდაპირი შესყიდვით ხელშეკრულების გაფორმება მოხდა 2160 ლარზე შპს ,,GPS ოპერატორთან”(CMR200155404) რომლითაც კონტროლდება ქობულეთის სანდასუფთავების ავტომობილების გადაადგილება სხვადასხვა მიმართულებაზე.
- CMR210140233ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ავტომობილების საწვავის, ზეთის, ჰაერის, ფილტრებზე 3028 ლარზე,
- ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ანტიფრიზზე რომლის ღირებულებამ შეადგინა 950 ლარი
- ასევე ხელშეკრულების გაფორმება მოხდა CMR200089590 დამხმარე ხელსაწყოებზე ღირებულება 3471 ლარი.
- CMR210032039 ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ასევე აქანდაზებზე 2500 ლარზე.
- CMR200097827 ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ავტომობილების სარეცხ ჟელეებზე და ქლორებზე ხელშეკრულების თანხამ შეადგინა 1520 ლარი.

ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით შეძენილმა საწვავის თანხამ (დიზელი ბენზინი) შეადგინა 342456,28 ლარი. ბენზინი გაფორმებული ხელშეკრულება 12839,88 ლარი, დიზელი გაფორმებული ხელშეკრულება 329616,4ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერით, ასევე შეძენილ იქნა ავტომობილებისათვის დენის წყაროები აკუმლატორები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1140 ლარი.

2021 წლის იანვრის თვეში ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავები“-ს ბიუჯეტი შეადგენდა 2574335ლარს, ხოლო 2021 წლისბოლოს ბიუჯეტი შეადგენდა 2663205 ლარი. ათვისებულ იქნა 98%-ი ბიუჯეტი. სრულ ათვისებას ხელი შეუშალა პანდემიამ.

თედო ტაკიძე - სამომავლოდ თუ იგეგება ახალი კონტეინერების შეძენა, და სოფლებში თუ იგეგმება ძელი კონტეინერების ახლით ჩანაცვლება?

გიორგი მჟავანაძე - გამოცხადდება ტენდერი და მოხდება ამორტიზირებული კონტეინერების ახლით ჩანაცვლება.

დავით წულუკიძე - ჩვენი ქალაქის იერსახე დამოკიდებულია სანდასუფთავების სამსახურის მუშაობაზე, რასაც შესაბამისი სამსახური კარგად ასრულებს. სამსახური ყველადღიურად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მან მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელს და ყველა თანამშრომელს გაწეული შრომისთვის და საქმიანობისთვის. ის დაინტერესდა თუ როდის იქნება შესაძლებელი ცეცხლაურის ნაგავსაყრელის ამოქმედება? რა შეღავათი ექნება ამით მუნიციპალიტეტს?

გიორგი მჟავანაძე - ჩვენი ინფორმაციით სავარაუდოდ მაისის ბოლოსთვის იგეგმება ნაგავსაყრელის ამოქმედება. სამსახურისთვის ეს იქნება დიდი შეღავათი დროის და საწვავის სახით. მეტად გაუმჯობესდება მომსახურება ზაფხულის პერიოდში, დროის მონაკვეთი იქნება მოკლე დაახლოებით ნახევარ საათში განთავისუფლდება ნაგავსაყრელის სპეც-მანქანა და გაუჯობესდება მომსახურეობა ამ კუთხით.

ავთანდილ გოგიბერიძე - დაინტერესდა როდის იწყება ზღვისპირა ზოლის დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში? რადგან დღევანდელი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქალაქში გვყავს სტუმრები.

გიორგი მჟავანაძე - ზღვისპირა ზოლის დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში 15 მაისიდან მოხდება, ასევე დამატებით შტატგარეშე თანამშრომლების აყვანა იგეგმება. აღმაშენებლის ქუჩაზე ყოვედღიურად ხდება დაგვა-დასუფთავება ყველა არსებული სკვერის და პარკის.

საკრებულოს თავმჯდომარემ და წევრებმა დადებითად შეაფასეს (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება"-ს, 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში და წარმატებები უსურვეს. მათი თქმით საკურორტო ქალაქი და ტურისტული სეზონი მაინც მძიმე შრომას უტოვებს შესაბამის ა(ა)იპ-ში დასაქმებულ ადამიანებს. მათ მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელს და მთლიანად შემადგენლობას.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენაა (ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება"-ს, 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

9. ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი"-ს 2022 წლის 14 თებერვლის N9 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი"-ს წარმომადგენელმა ირმა ონიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი"- წესდების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქობულეთის ზღვისპირა პარკის, დაბა ჩაქვის პარკის, ქ.ქობულეთის მეგობრობის ქუჩის მიმდებარე სკვერისა და ქ. ქობულეთის ჩეხოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის, -ჯამში 84630 კვ.მ. განაშენიანებას და მოვლა პატრონობას.

2021 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით, მიუხედავად მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის COVID 19–ის გამოდაწესებული შეზღუდვების ფონზე, შესრულდა სხვადასხვა სამუშაოები:

ყოველდღიურად ხორციელდებოდა პარკების და სკვერების დაგვა დასუფთავება, დეკორატიული სანაგვე ურნების დაცლა.

მიმდინარეობდა სხვადასვა სამუშაოები, როგორც აგროსამუშაოები, ასევე მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც, კერძოდ: იწმინდებოდა, ლაგდებოდა და სუფთავდებოდა მწვანე ზოლი ჩამოყრილი წიწვებისგან, ნარჩენებისგან, ხმელი ტოტებისა და გირჩებისგან, მოიჭრა და დაიხერხა გამხმარი, ამორტიზირებული ხე მცენარეები, რომელიც გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

გაზაფხულზე - აპრილი, მაისის თვეში მცენარეების დასარგავად მომზადდა ნიადაგი, ამოღებული იქნა ორმოებიდან ქვა ღორღი და შევსილ იქნა შემოტანილი შლამით. ამასთან ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის" სამოქმედო ტერიტორიიდან მოხდა გამხმარი ამორტიზირებული მცენარეების ამოძირკვა და ტერიტორიიდან გატანა.

რაიონის სხვადასხვა ტერიტორიებიდან მოხდა მცენარეების გადმოტანა პარკების ტერიტორიებზე. კერძოდ გადმოირგა ჰორტენზიის, ფიჭვის, ევკალიპტის და სხვა ბუჩქოვანი მცენარის ნერგები.

აგროვადების გათვალისწინებით შეტანილ იქნა მინერალური და კომბინირებული სასუქები, შემობარული და გათოხნილ იქნა ინდივიდუალურად ყველა მცენარის ძირი. საჭიროების შემთხვევაში

ხდებოდა დეკორატიული მცენარეების გასხვლა ფორმირება და ხე მცენარეების გადაბელვა, ხმელი ტოტებისაგან გასუფთავება.

განხორციელდა ზამთრისათვის მცენარეების მომზადება, კერძოდ აიკვრა ჭიგოზე და შემდეგ მოხდა ნერგების, ნარგავების შეფუთვა .

სისტემატიურად, წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გაზონების გაცელვა-გასუფთავება. სავალ ქვაფენილებზე ამოსული სარეველა მცენარეების ჰერბიციდებით დამუშავება. მავნებლებისაგან დაზიანებული მცენარეების შეწამლვა.

ზაფხულის სეზონის დადგომამდე მაისი - ივნისის თვეში გაირეცხა და გაიწმინდა; პარკებში არსებული ქვის სკამები, დეკორატიული ქვის ფიგურები, რომელიც ზღვისპირა პარკში მდებარეობს, ამფითეატრის ბრეზენტის სახურავი, დეკორატიული სანაგვე ურნები, შადრევნების აუზები.

განხორციელდა დაზიანებული ფილების და ბორდიურების შეკეთება, აგრეთვე დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე არხების ჭის თავები, შეიღება და აღდგენითი სამუშაოების ჩაუტარდა სკვერებსა და პარკებში არსებულ ღობეებს, ტრენაჟორებს, ატრაქციონებს, განათების ბოძებს, სკამებს, სანაგვე ურნებს, თევზების შადრევანს, მეგობრობის ქუჩის სკვერის შადრევნს, გედების ტბას, მოცეკვავე შადრევანს.

პარკის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შესაზღუდად მოეწყო დროებითი ბარიერები (ჩაისო რკინის ბოძები და ჩაიკეტა რკინის ჯაჭვით).

სისტემატიურად მიმდინარეობდა გარე განათების ბოძებზე გადამწვარი და დაზიანებული ნათურების გამოცვლა. მაღალი ელ. ძაბვის ტრანსფორმატორის კონტროლი.

ქვეყანაში არსებული კოვიდ ვირუსის პანდემიის გამო 2021 წელს ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი“-ს ტერიტორიაზე სეზონური იჯარით მიწის გაცემა განხორციელდა უსასყიდლოდ, პირდაპირი წესით. 2021 წელს საზონური იჯარით გაიცა 2720კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მრავალწლიანი იჯარით ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე გაცემულია 2216,2 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 2021 წელში მიღებული საიჯარო თანხამ შეადგინა 22362 ლარი.

2021 წელში ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკმა“ გააფორმა: 26 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 64972 ლარი, 4 კონსოლიდირებული შესყიდვა (ბენზინი, დიზელი, სილქნეტი, საბურავი), რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 12981 ლარი, 1 ელექტრონული ტენდერი ავტომობილის რემონტზე - 1500 ლარი.

ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი“-ს 2021 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში განისაზღვრა **309800** ლარით, ხოლო წლის ბოლოსთვის ორგანიზაციის ბიუჯეტი შეადგენდა **307335** ლარს, მ.შ. საბიუჯეტო სახსრებიდან **306400** ლარს, საკუთარი სახსრებიდან **1280** ლარს. ბიუჯეტის კლება გამოიწვია საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი გასაწევი ხარჯების შემცირებამ, ვინაიდან სეზონური მიწის იჯარა, მუნიციპალიტეტის განკარგულების თანახმად, გაიცა უსასყიდლოდ.

2021წელში ბიუჯეტის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა სულ **307148** ლარი (ბიუჯეტი შესრულდა 98%) მ/შ;. საბიუჯეტო სახსრებიდან 305908 ლარი (98,5%), საკუთარი სახსრებიდან 1240 ლარი (99,6%).

ა(ა)იპ „ქობულეთის პარკში“ 2021 წელს დასაქმებულ იყო 38 შტატიანი თანამშრომელი, რომლებზეც გაცემულ იქნა წლის განმავლობაში 169400 ლარის თანამდებობრივი სარგო (100%). ზაფხულის სეზონზე 16 შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულმა თანამდებობრივმა სარგომ სულ შეადგინა 17280 ლარი (100%).

სხვა დაგეგმილი ბიუჯეტის ხარჯი გადანაწილდა შემდეგნაირად:

საკანცელარიო ხარჯი საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი გვქონდა 275 ლართ და გახარჯულ იქნა 275ლარი (100%),

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის (კატრიჯი, ელ. ღუმელი) შესაძენად საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი გვქონდა 1520 ლართ - გაიხარჯა 1520 ლარი (100%) .

ოფისისათვის საჭირო სამეურნეო საგნები და მასალების შესაძენად (სათიბი ძუა, ნათურები, საღებავები, გამხსნელები, ფუნჯები, ცოცხები, სამუშაო ხელთათმანები, ლურსმნები, ჭანჭიკები, მცენარის შესაფუთი ქსოვილი, მავთული და ა.შ.) საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი გვქონდა 16055 ლარი - აქედან გახარჯულია 16055 ლარი (100%),

რეცხვის ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი საბიუჯეტო სახსრებიდან განსაზღვრული იყო 469 ლარით - აქედან გახარჯა 469 ლარი (100%),

შენობა ნაგებობის ხარჯი (ამფითეატრის ღებვა, ტენტის სახურავის ტროსების მოჭიმვა მოშვება) საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილ იყო 5150 ლარით - გაიხარჯა 5150ლარი (100%)

საოფისე ტექნიკის ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი (საცელი, სახერხი, საწამლავი აპარატების სათადარიგო ნაწილები, თეატრის განათების ინსპალაცია) საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი იყო 2600 ლარით - გაიხარჯა 2597 ლარი (99,97%).

კავშირგაბმულობის ხარჯი საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი იყო 1697 ლარით (ინტერნეტი - 1018ლარი, შიგასაქალაქო და საქალაქთაშორისო კავშირები სააბონენტო 120 ლარი, მობილური კორპორაციული - 559 ლარი) - გაიხარჯა 1693 ლარი (ინტერნეტი -1014ლარი, შიგასაქალაქო და საქალაქთაშორისო კავშირები სააბონენტო 120 ლარი, მობილური კორპორაციული - 559 ლარი) (99,96%).

კომუნალური ხარჯი საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი იყო 42306 ლარით, მ.შ, ელ ენერგია 39068 ლარი, წყალი - 3238ლარი, აქედან გაიხარჯა ელ. ენერგია - 39068 ლარი (100%), წყალი - 3187ლარი (99,49%) სულ კომუნალურის ხარჯვამ შეადგინა 42255 ლარი (99,49%) .

საწვავ საპოხი მასალების შესაძენად დაგეგმილი გვქონდა საბიუჯეტო სახსრებიდან 11615 ლარი, მ.შ. ბენზინი სამუშაო ტექნიკისთვის - 3428 ლარი, დიზელის საწვავი ერთი ერთეული ავტომანქანისთვის 7904 საპოხი მასალები (ტაოტი, ზეთი) – 283 ლარი, აქედან გახარჯულია 11587 ლარი (99,7%) მ.შ. ბენზინი 3428ლარი, დიზელი 7904 ლარი, საპოხი მასალები 255 ლარი.

ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების სარემონტოდ დაგეგმილი გვქონდა საბიუჯეტო სახსრებიდან 6000 ლარი, ხოლო ტექდათვალიერებისთვის 60 ლარი, აქედან გახარჯულია 6000 ლარი (100%).

დაცვის პოლიციის მომსახურების ხარჯი 2 თვეზე განისაზღვრა 26200 ლარით, ხოლო გაიხარჯა 26200 ლარი (100%).

საუქების, პესციტიდებისა და ჰერბიციდების შესაძენად დაგეგმილ იყო 1060 ლარი საბიუჯეტო სახსრებიდან -აქედან გაიხარჯა 1052 ლარი (99,9%).

ელექტრონული ტენდერის ხარჯი განისაზღვრა 50 ლარით, აქედან გაიხარჯა 50 ლარი (100%) .

ამწეკალათის დაქირავების ხარჯი განისაზღვრა - 1500 ლარით, აქედან გაიხარჯა 1500 ლარი (100%).

არაფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრული იყო 2800 ლარით, აქედან გახარჯულია 2749 ლარი (99,5%).

ორგანიზაციას საკუთარ სახაზინო ანგარიშზე ნაშთის სახით 2021 წელს ქონდა 1280 ლარი, რომლის ხარჯვაც მოხდა შემდეგი საჭიროებისათვის:

საოფისე ტექნიკის შესაძენად დაგეგმილი გვქონდა 280 ლარი, აქედან გაიხარჯა 240 ლარი (99,6%)

საბურავების შესაძენად დაგეგმილ იყო 750 ლარი აქედან გაიხარჯა 750 ლარი (100%) .

ელექტრონულიშტამპის შესაძენად განსაზღვრული 250 ლარით და გაიხარჯა 250ლარი (100%),

მომხსენებელმა თავის დასკვნით ნაწილში აღნიშნა, 2021 წელი კორონა ვირუსის მიუხედავად, რამაც შეაფერხა გარკვეული მიმართულებები, მაინც ნაყოფიერი იყო ა(ა)იპ ქობულეთის პარკისთვის“ და შევძელით შეგვესრულებინა ჩვენზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობა.

გიორგი გოგიტიძე - დაგეგმილი სამუშაოების შესახებ დასვა შეკითხა, თუ ესწრება სეზონისთვის ახალი ნარგავების დარგვა და დაგეგმილი ღონისძიებების სამუშაოების ჩატარება?

ირმა ონიანი - დაწყებულია ახალი ნარგავების შემოტანა, რის შემდეგაც ქალაქის ტერიტორიაზე მოხდება ახალი ნარგავების დარგვა-გალამაზება.

გურამ აბაშიძე - ჩაქვის პარკთან არის ხიდი, რომელიც საჭიროებს შეკეთებას ის დაინტერესდა თუ არის დაგეგმილი ახლო მომავალში ხიდის რეაბილიტაცია?

მომხსენებლის განმარტებით იგეგმება პარკის სრული რებილიტაცია, მოწესრიგება.

დავით მჭედლიშვილის თქმით, როგორც ჩვენთვის ცნობილა იგეგმება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცენტრალური პარკის რეაბიიტაცია, ასევე მერიის თანმიმდევრული პოლიტიკით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკის და სკვერის მოვლა პატრონობა.

საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასეს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის“ გასული წლის მუშაობის ანგარიში და წარმატებები უსურვეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის პარკისთვის“ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

10. შპს ,,ქობულეთის წყალი“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N35-1142205647 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა შპს ,,ქობულეთის წყალი“-ს დირექტორის მოადგილემ ოთარი ზოიძემ, რომელმაც ისაუბრა შ.პ.ს. „ქობულეთის წყალის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ 2021 წლის კალენდარულ ჭრილში.

დღეის მდგომარეობით, ქობულეთის საკრებულოს 2017 წლის 19 მარტის დადგენილებით, დადგენილია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მომსახურების ტარიფები კომერციულ, საყოფაცხოვრებო და საბიუჯეტო ობიექტებისათვის. კერძოდ: კომერციული ობიექტებისათვის 1 კუბური მეტრი (1000 ლიტრი) წყლის ღირებულება შეადგენს – 4 ლარს, საიდანაც – 1.7 ლარი წყალმომარაგების საფასურია, ხოლო – 2.3 ლარი წყალარინების.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო (ანუ მოსახლეობის) ტარიფს, აქ მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული ტარიფი – 1.80 ლარის ოდენობით. სადაც 1 ლარი არის წყალარინების, ხოლო – 0.8 ლარი წყალმომარგების. ანუ, აქ მოსახლეობაზე გადასახდელის დარიცხვა წარმოებს არა კუბატურით გახარჯულ წყალზე, არამედ სულადობით.

რაც შეეხება საბიუჯეტო ორგანიზაციებს, მათზე ამჟამად ჩვენი მომსახურების ღირებულება შეადგენს 3 ლარს. აქედან – 1.3 ლარი წყალმომარაგების და 1.7 ლარი წყალარინების. (იხ.ცხრილი)

სასმელი წყლის მოხმარებით მიღებული შემოსავალი 2021 წელში.

	დარიცხვა	გადახდა
საყოფაცხოვრებო	303 792,80	309 495,40
კომერცია	484 013,10	491 939,20
საბიუჯეტო	101 234,30	99 409,20
სულ ჯამი	889 040,20	900 843,80

რაც შეეხება კომპანიის საქმიანობის ტექნიკურ მხარეს, მოგახსენებთ, რომ განვლილ კალენდარულ პერიოდში შ.პ.ს. „ქობულეთის წყალი“ - ს მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

წყალმომარაგების ქსელზე ჩატარდა:

1. ქუჩის ქსელზე ჩატარდა 323 სარემონტო სამუშაო.
2. მოეწყო 100 გ/მ ახალი სააბონენტო ხაზი.
3. ქუჩის ქსელზე შეიცვალა 370 გ/მ მილი.

წყალარინების ქსელზე ჩატარდა:

1. გაიწმინდა 348 სათვალთვალო ჭა.
2. ქუჩის ქსელზე ჩატარდა 12 დაზიანების შეკეთება.
3. 18 სათვალთვალო ჭას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.
4. გაიწმინდა 29 საბავშვო ბაღის სეპტიკი.
5. გაიწმინდა 11 სხვადასხვა დაწესებულების სეპტიკი.
6. მოეწყო80 გ/მ ახალი სააბონენტო ხაზი

სანიაღვრე ქსელი:

1. გაიწმინდა 311 სანიაღვრე ჭა და სანიაღვრე არხი.
2. ყოველთვიურად იწმინდება ზღვაზე გამავალი სანიაღვე არხები.

ახალი მომხმარებლის დაერთება:

1. განხორციელდა 22 ახალი მომხმარებლი წყალმომარაგების სისტემაზე დაერთება.შემოსავალმა შეადგინა 51600 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომრის დავით მჭდლიშვილის შეფასებით შპს ,,ქობულეთის წყალი" ყველაფერს აკეთეს მოსახლეობის ხარისხიანი წყალის მოწოდებისთვის, მან წარმატებები უსურვა და მხარდაჭერა გამოთქვა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,ქობულეთის წყალი"-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

11.შპს,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს 2022 წლის 18 თებერვლის N34 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს დირექტორმა მერაბ პაპუნაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრბულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ 2021 წლის გაწეულ საქმიანობის ანგარიშს.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"-ს დადგენილების ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში ჩაგვერიცხა სუბსიდია425 439 (ოთხასოცდახუთიათასოთხასოცდაცხრამეტი) ლარი, ხოლო შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 193 820 (ასოთხმოცდაცამეტიათასრვაასოცი) ლარი.(დანართი N1).

2021 წელს შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 624 244 (ექვსასოცდაოთხიათასორასორმოცდოთხი) ლარი. დანართი N2

შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს შემოსავალი 2020 წელთან შედარებით გაიზარდა, 2020 წლის შემოსვალი იყო 147 381 (ასორმოცდაშვიდიათასსამასოთხმოცდაერთი) ლარი, ხოლო 2021 წელს შეადგინა 193 820 (ასოთხმოცდაცამეტიათასრვაასოცი) ლარი, თუმცა აღნიშნული შემოსავალი რა თქმა უნდა ნაკლებია პანდემიამდე არსებულ შემოსავალთან, 2019 წელს შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს შემოსავალი შეადგენდა 274 527 (ორას სამოცდათოთხმეტი ათას ხუთასოცდაშვიდი) ლარს.

შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს ბალანსზე ირიცხება 16 (თექვსმეტი) ერთეული ავტობუსი, აქედან 12 (თორმეტი) ერთეული არის ისუზუ ბოგდან-ა092, ხოლო 2021 წლის 22 ნოემბერს გადმოგვეცა4 (ოთხი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება კერძოდ:

1. ISUZU CITIBUS, საიდენტიფიკაციო ნომერი -NNAMOBULT02002140, გამოშვების წელი 2021, სარეგისტრაციო ნომერი -UU354SU (საბალანსო ღირებულება -494232)
2. ISUZU CITIBUS, საიდენტიფიკაციო ნომერი -NNAMOBULT02002134, გამოშვების წელი 2021, სარეგისტრაციო ნომერი -UU356SU (საბალანსო ღირებულება -494232)
3. ISUZU CITIBUS, საიდენტიფიკაციო ნომერი -NNAMOBULT02002148, გამოშვების წელი 2021, სარეგისტრაციო ნომერი -UU362SU (საბალანსო ღირებულება -494232)

4. ISUZU NOVOSITI LIFE, საიდენტიფიკაციო ნომერი -NNAMOBFLAGB000877, გამოშვების წელი 2021, სარეგისტრაციო ნომერი -UU351SU (საბალანსო ღირებულება - 422715)

ამ ეტაპზე მუნიციპალური ტრანსპორტით ვემსახურებით 11 (თერთმეტი) სამარშრუტო ხაზს. თითოეულ სამარშრუტო ხაზზე მომსახურებას ახორციელებს ერთი ავტობუსი, მგზავრთა ნაკადიდან გამომდინარე მხოლოდ რუსთაველის სამარშრუტო ხაზზე მუშაობს 2(ორი) ახალი ავტობუსი. ახალი ავტობუსი, ასევე მუშაობს აღმაშენებლის გამზირზე და ქობულეთი-ჭახათის სამარშრუტო ხაზებზე. ქობულეთი-დენდროლოგიური პარკის სამარშრუტო ხაზი არის სეზონური .

1. რკინიგზის სადგური-აღმაშენებლის გამზირი
2. რკინიგზის სადგური-რუსთაველის ქუჩა
3. ჩოლოქის მეურნეობა-ქობულეთი-ბათუმი
4. სოფელი აჭყვისთავი-ქობულეთი ბათუმი
5. სოფელი ჯიხანჯური-ქობულეთი-ბათუმი
6. სოფელი დაგვა-ქობულეთი
7. სოფელი ზედა ხუცუბანი-ქობულეთი
8. სოფელი ჭახათი-ქობულეთი
9. სოფელი კვირიკე-ქობულეთი
10. სოფელი-აჭი -ქობულეთი
11. ქობულეთი-დენდროლოგიური პარკი

შპს. „ქობულეთის ტრანსრეგულირება“ ცდილობს სრლად დაიცვას კოვიდ რეგულაციები, უზრუნველყოფს ყოველდღიური სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას, თითოეულ ავტობუსებში განთავსებულია დისპანსერები, ასევე კონტროლის ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მგზავრებისა და მძღოლების მიერ არ მოხდეს არსებული მოთხოვნების დარღვევა. იქედან გამომდინარე, რომ სრულად ვერ ხერხდება ავტოპარკის განახლება 2021 წელს შევეცადეთ არსებული ავტობუსები ეტაპობრივად გაგვერემონტებინა, რაც მოიცავს ავტობუსის შეღებვას, დაზიანებული იატაკის შეკეთებას და სკამების შეცვლას, ამ ეტაპისთვის 5(ხუთი) ერთეულ ავტობუსს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

დავით წულუკიძე - ჭახათის მიმართულებით დანიშნული სამარშუტო ხაზის დიდი ხნით გაჩერების პრობლემა აღნიშნა, მისი თქმით მოსახლეობის მოთხოვნაა დროულად მოხდეს გადაადგილება და ნუ შიქმნება პრობლემა.

მომხსენებლის განმარტებით - პრობლემა მოგვარებულია და 20 წუთის შესვენების შემდეგ ხდება სამარშუტო ხაზის გასვლა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

12. (ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N34-1142205673 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“-ს აგრონომმა ნესტან მახარაძემ,რომელმაც ისაუბრა 2021 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ - ჩოლოქის შემოსასვლელიდან მთელი ქალაქის ტერიტორიაზე ჩამოიბელა ხმელი ტოტები, ასევე მოიჭრა ამორტიზირებული ხეები, რომელიც დანომრილი იყო შესაბამისი ორგანიზაციის მიერ. დაიხერხა საშეშედ და გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სია გადმოგვეცა მერიიდან.

- აგრეთვე იანვრის თვეში განხორციელდა ქარისა და თოვლის შედეგად სამოქმედო ტერიტორიაზე ხე- მცენარეების ხელახალი შეკვრა და გამაგრება ჭიგოებით, ზოგიერთი ხე- მცენარეების შეფუთვა თავიდან, ასევე მოვახდინეთ თოვლისაგან დაზიანებული ხეების გაწმენდა -გასუთავება.

- შემოსული განცხადებების საფუძველზე მოიჭრა: ქალაქ ქობულეთში ერთი ძირი ზე-ხმელი ფიჭვის ხე, სოფელ გვარაში 3 ძირი ზე-ხმელი კრიპტომერიის ხე და გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

თებერვლის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მრავალწლიან ხე-მცენარეებზე სანიტარული ჭრები, მიღებული მერქანი დაიხერხა საშეშედ და გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

- განხორციელდა ხე-მცენარეების თოვლისაგან გაწმენდა/გასუფთავება; ქარისა და თოვლისაგან წაქცეული ნარგავების გასწორება; ხალახალი ჭიგოების დაყენება, შეკვრა/გამაგრება; წაქცეული ხეების და ტოტების მოჭრა/დამუშავება, საშეშე მერქნად და მათი გადაცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

- შემოსული განცხადებების საფუძველზე მოიჭრა სოფელ გვრაში 2 ძირი კრიპტომერიის ხე.

- აგრო-ტექნიკური წესების სრული დაცვით დაირგო ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე (ე.წ ,,ჩოლოქის“ ტერიტორიის სანაპირო ზოლი, მეგობრობის ქუჩის სანაპირო ზოლი, №2 საჯარო სკოლის ეზო, ქობულეთის მუზეუმის მიმდებარე სკვერი) 270 ძირი ფიჭვის ნერგი.

- გაიწმინდა მუნიციპალიტეტის წინ მდებარე შადრევანი.

მარტის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე დეკორატიულ ხე-მცენარეებზე შეიხსნა შესაფუთი ქსოვილი, განხორციელდა სანიტარული ჭრები დეკორატიულ ხე-.მცენარეებზე, პალმებსა და აგავებზე.

- განხორციელდა ე.წ. ,,ჩოლოქის“ ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მხარეს 2020 წელს დარგული ფიჭვის ნერგების მდგომარეობის შემოწმება, გამხმარი ნერგების ამოღება და მათი ჩანაცვლება ახალი ფიჭვის ნერგებით.

- ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე განხორციელდა ზე-ხმელი 1 ძირი ფიჭვის ხის მოჭრა და საშეშე მერქანის გადაცემა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

- გაიწმინდა მუნიციპალიტეტის წინ მდებარე შადრევანი.

აპრილის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სკვერების გაცელვა, გასხვლა-ფორმირება დეკორატიული ხე-მცენარეების, ძირების შემობარვა, მინერალური სასუქის შეტანა.

- ასევე დაიწყო ე.წ. ,,ჩოლოქის“ შემოსასვლელიდან ბობოყვათის ,,პლატფორმამდე“, საავტომობილო გზის ორივე მხარეს არსებული ხე-მცენარეების კირით შეთეთრება.

- ქალაქ ქობულეთში, 9 აპრილის სკვერში დაირგო 8 ძირი ტუია.

- ქალაქ ქობულეთში, ჯინჭარაძის ქუჩაზე შეკეთდა დაზიანებული დეკორატიული ფილები.

- გაიწმინდა მუნიციპალიტეტის წინ მდებარე შადრევანი.

მაისის თვეში თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - ქ.ქობულეთში ჩოლოქის შემოსასვლელიდან დ. აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით რკინიგზის სადგურამდე, გაიცელა მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული მწვანე საფარი. ასევე გაიცელა სადგურის მიმდებარე სკვერები ბათუმის ქუჩის მიმართულებით: მეგობრობის, ლესელიძის და რუსთაველის ქუჩებზე არსებული გაზონები და სკვერები, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერები ბიბლიოთეკის და მინი სტადიონის ირგვლივ, კინოს მიმდებარე სკვერები, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოპირდაპირე და უკანა ტერიტორია ს/ს „ლიბერთი ბანკის“ შენობამდე.

- სოფელ ბუკნარის ორივე სკვერი გაიცელა, გაიწმინდა სარეველა ბალახისაგან, მცენარეების ირგვლივ შემოიბარა და შეტანილ იქნა მინერალური სასუქი.

- გაიცელა ქალაქ ქობულეთში არსებული გაზონები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოები.

- დასუფთავდა და გაიწმინდა ბობოყვათის სამთავრობო დაჩის სანაპირო ზოლი (პლაჟი) ფიჭვნარის შემოსასვლელიდან მოსახლეობამდე სანაპირო ზოლი, ასევე თამარ მეფის სანაპირო ზოლში განხორციელდა ნაგვის აკრეფა და გატანა სანაგვეზე.

- განხორციელდა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე ტროტუარებზე შხამ-ქიმიკატით სარეველა ბალახის შეწამლვა.

- სარემონტო ჯგუფის მიერ გარემონტდა ქალაქ ქობულეთში, სანაპირო ზოლში არსებული სკამები.

- შეიღება სანაპირო ზოლში გარე განათების ბოძები.

- ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სკვერებში შეკეთდა დაზიანებული ფილები.

- ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზ.№306-ის მოპირდაპირე სკვერში განხორციელდა დაზიანებულისაბავშვო ატრაქციონის დემონტაჟი და მისი დასაწყობება შპს ,,ტრანსრეგულირები“ ეზოში.

- გაიწმინდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ არსებული შადრევანი.

ივნისის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - ქ. ქობულეთში ჩოლოქის შემოსასვლელიდან დ. აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით რკინიგზის სადგურამდე გაიცელა მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული მწვანე საფარი, თავისი გადასასვლელებით ქუჩის ორივე მხარეს. გაიცელა დ. აღმაშენებელზე არსებული სკვერები კერძოდ: 9აპრილის სკვერი, მუზეუმის მიმდებარედ და მოპირდაპირედ მდებარე სკვერები, ქ. ქობულეთის სტადიონის „შუქურა"-ს ტერიტორია, ფიჭვნარის ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონი. გაიცელა 6-საბავშვო - ბაღის ეზოები.აგრეთვე დ. აღმაშენებელზე მდებარე ყოფილი სანატორიუმი „საქართველო"-ს ტერიტორია.

- რამოდენიმეჯერ გაიცელა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ მდებარე გაზონი და სკვერი, თავისი გადასასვლელებით თამარ მეფის სანაპიროზე, სს „ლიბერთი ბანკი"-ს ტერიტორიის ჩათვლით.

- მთლიანად გაიცელა რუსთაველის ქუჩაზე ბენზინ-გასამართ სადგურიდან რკინიგზის სადგურის ჩათვლით მწვანე საფარი თავისი ეზოებით და სკვერებით.

- გაიცელა გელაურის დასახლებაში არსებული მწვანე საფარი.

-ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროზე დაირგოერთწლიანი ყვავილები, განხორციელდა მათი მოვლა.

- სარემონტო ჯგუფის მიერ ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოებში შერემონტდა და შეიღება სკამები.

- ეტაპობრივად განხორციელდა სარემონტო ჯგუფის მიერ ქალაქ ქობულეთში, პლაჟზე საშხაპეების მონტაჟი.

- განხორციელდა მრავალჯერადად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ არსებული შადრევანის გაწმენდა.

ივლისის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - გაიცელა ქ. ქობულეთში ჩოლოქის შემოსასვლელიდან დ. აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით რკინიგზის სადგურის ჩათვლით მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული მწვანე საფარი.გაიცელა ასევე შემდეგი ტერიტორიები დ. აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი„ჰორიზონტი"-ს, „ინტურისტი"-ს, „ცენტროსოუზი"-ს ტერიტორიები; მეგობრობის ქ. N1-დან ბოლომდე მარჯვენა და მარცხენა გაზონები თავისი ზღვისპირა ტერიტორიებით. გაიცელა ბობოყვათის სამთავრობო დაჩის ტერიტორია,ასევე დაბა ჩაქვის რაგბის სტადიონი. მთლიანად გაიცელა თამარ მეფის სანაპირო ზოლი და დ. აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირო ზოლზე 9-გადასასვლელი. აგრეთვე გაიცელა რუსთაველის ქუჩა ბენზინ-გასამართ სადგურიდან რკინიგზის სადგურამდე მწვანე საფარი. რამოდენიმეჯერ გაიწმინდა მუნიციპალიტეტის შენობის მოპირდაპირედ არსებული გაზონები და პარკი, ასევე გვერდითი მხარე, ზღვაზე გადასასვლელი და სს „ლიბერთი ბანკი" -ს ეზო. გაიწმინდა ქ.ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროზე დარგული ერთწლიანი ყვავილები სარეველებისგან. ასევე გაიცელა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სკვერები კერძოდ:- 9- აპრილის, კინოს და ლესელიძის ქუჩის მიმდებარე სკვერები.

- შხამ-ქიმიკატით შეიწამლა ფილებს შორის ამოსული სარეველა ბალახი ქ.ქობულეთში, თამარ მეფის მთლიანი სანაპირო ზოლში.

- დაბა ჩაქვში და სოფელ ბუკნარში ავტოსადგურამდე გაიცელა გზის ორივე მხარეს არსებული მწვანე საფარი თავისი გადასასვლელებით და სკვერებით.

- გაიცელა სოფელ ხუცუბნის ადმინისტრაციული ცენტრი.

- გაიცელა დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ცენტრი.

- გაიცელა სოფელ ციხისძირში, ,,პეტრას ციხე“-ს ტერიტორია, სადაც ასევე განხორციელდა ხე-მცენარეების სხვლა-ფორმირება.

- შემოსული წერილების საფუძველზე: განხორციელდა სოფელ გვარაში 1 ძირი ევკალიპტის ხის მოჭრა, ქ.ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე 1 ძირი ფიჭვის ხის მოჭრა. მიღებული საშეშე მერქანი გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

- სარემონტო ჯგუფის მიერ ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე განხორციელდა ამოყრილი ფილების ჩალაგება/დაბეტონება.

- სარემონტო ჯგუფის მიერ განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობის უკან მდებარე მუნიციპალური საპირფარეშოს რემონტი.

- გაიწმინდა მრავალჯერადად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ არსებული შადრევანი.

აგვისტოს თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა გაცელვითი სამუშაოები. კერძოდ გაიცელა შემდეგი ტერიტორიები:

- ქალაქ ქობულეთში, ჩოლოქის შემოსასვლელიდან დ. აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით, რკინიგზის სადგურამდე მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული მწვანე საფარი.

- სადგურში არსებული წრიულებში არსებული მწვანე საფარი.

- ბათუმის მიმართულებით, მემედ აბაშიძის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული გაზონები (ე.წ. კარიერის დასახლებაში).

- კოსტავას, ჯაფარიძის, 26 მაისის, ლესელიძის, ჭავჭავაძის ქუჩებზე არსებული გაზონები და სკვერები, ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია.

- რამოდენიმეჯერ გაიცელა მუნიციპალიტეტის მოპირდაპირე და უკანა ტერიტორია.

- ს/ს „ლიბერთი ბანკი“-ს ეზო, ზღვაზე გადასასვლელით.

- გაიცელა და გაიწმინდა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ქობულეთის მუზეუმის შენობის მიმდებარედ და მოპირდაპირედ არსებული სკვერები.

- N662-ს მოპირდაპირედ მდებარე მინი სტადიონი.

- დ. აღმაშენებლის და ვერულიძის ქუჩის კვეთაში არსებული ზღვაზე გადასასვლელი.

- აგრეთვე გაიცელა დ. აღმაშენებლის ქ. N235-ში მდებარე ყოფილი სანატორიუმი

„საქართველო“-ს ტერიტორია, ფასიანი პოლიკლინიკის ტერიტორია.

- თავისუფლების ქუჩა №21-ის მოპირდაპირედ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკვერი და რუსთაველის ქუჩაზე N136-ის მიმდებარედ, საჯარო რეესტრისეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მოპირდაპირედ არსებული ტერიტორია.

- მთლიანად გაიცელა თამარ მეფის სანაპიროზე არსებული მწვანე საფარი; რუსთაველის ქუჩაზე არსებული გაზონები.

-რუსთაველის ქუჩაზეN161-ე, N162-დ, N163-ვ მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოები და სკვერები.

- რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ გაიწმინდა და გაიცელა ტერიტორია ეკალ- ბარდებისაგან.

- სარემონტო ჯგუფის მიერ განხორციელდა საშხაპეების მდგომარეობის შემოწმება და შეკეთება.

-გაიწმინდა მრავალჯერადად ქობულეთის მუნიციპალიტეტისადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ არსებულ პარკში მდებარე შადრევანი.

სექტემბრის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა გაცელვითი სამუშაოები შემდეგ ტერიტორიებზე:

დავით აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით მარჯვენა და მარცხენა გაზონები. რკინიგზის სადგურის ცენტრალური და მიმდებარე ტერიტორია.

რუსთაველის ქუჩის ბენზინ-გასამართ სადგურიდან რუსთაველის ქუჩის ბოლომდე.

დავით აღმაშენებლის გამზირის და რუსთაველის ქუჩის გადასასვლელები, სკვერები, პარკები, ტროტუარები, მოედნების მწვანე საფარის გაცელვა.

მეგობრობის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული გაზონები, ასევე მეგობრობის ქუჩაზე საავადმყოფოს პირდაპირ არსებული სკვერი,კოსტავას, 26-მაისის ქუჩის გაზონები, ლესელიძის ქ. ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის და ცენტრალური ბიბლიოთეკის ირგვლივ ტერიტორია.დ. აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 9- აპრილის სკვერი, მუზეუმის სახლის გვერდით და მოპირდაპირე სკვერი.

თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერი.

ჩოლოქის შემოსასვლელის ტერიტორია. რუსთაველის ქუჩის ბინების ეზოები.

მეგობრობის ქ. არსებული რაგბის სტადიონი.

ქ. ქობულეთში არსებული პოლიციის შენობის ტერიტორია.

სოფელ ქობულეთში, სოფელ კვირიკეში და სოფელ ცეცხლაურში გაიცელა ადმინისტრაციულ ცენტრში მდებარე მწვანე ზოლები.

სოფელ მუხაესტატეს და სოფელ ხუცუბნის საბავშვო ბაღების ეზოები. დაბა ჩაქვში გაიცელა რაგბის მოედანი.

- სარემონტო ჯგუფის მიერ ჩაიგო ფილები ქალაქ ქობულეთში, რუსთველის ქუჩაზე.

- გელაურის დასახლებაში განხორციელდა საბავშვო ატრაქციონის შეკეთება.

- შემოსული განცხადებების საფუძველზე ე.წ. ,,ჩოლოქის" ტერიტორიაზე მოიჭრა ზე-ხმელი 6 ძირი ფიჭვის ხე, რომელიც გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

- გაიწმინდა მრავალჯერადად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ მდებარე შადრევანი.

ოქტომბრის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა გაცელვითი სამუშაოები შემდეგ ტერიტორიებზე:

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირის მიმართულებთ მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული გაზონები.

ქობულეთის რკინიგზის სადგურის ცენტრალური და მიმდებარე ტერიტორია.

ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ბენზინ-გასამართ სადგურიდან რუსთაველის ქუჩის ბოლომდე.

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩების გადასავლელები, სკვერები, პარკები, ტროტუარები,მოედნების მწვანე საფარი.

გაიცელა მეგობრობის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული გაზონები, ასევე რეგბის სპორტული მოედანი. ასევე კოსტავას და ჩეხოვის ქუჩებზე არსებული საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოები.

რუსთაველის ქუჩაზე საერთო საცხოვრებელი ეზოები კერძოდ:- N162გ, N162ბ, N162ზ, N162ე, N140ბ, N140გ, N140.

- ასევე განხორციელდა დავით აღმაშენებლის გამზირზე ხე-მცენარეების სანიტარული ჭრა,(მსუბუქი და მძიმე) გადაბელვა, აგრეთვე პალმებზე ხმელი ტოტების ჩამობელვა, გასუფთავება. ჩამოჭრილი ტოტები დამუშავდა საშეშედ და გადაეცა სოციალურად დაუცველ ოჯახს,ხოლო დარჩენილი ნარჩენები გატანილ იქნა სანაგვეზე.

- რამოდენიმეჯერ გაიცელა მუნიციპალიტეტის მოპირდაპირე და უკანა ტერიტორია, ს/ს „ლიბერთი ბანკი“-სშენობის ჩათვლით მწვანე საფარი, ზღვაზე გადასასვლელებით.

- გაიწმინდა მრავალჯერადად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ შადრევანი.

ნოემბრის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - განხორციელდა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებზე სანიტარული ჭრები, მიღებული საშეშე მერქანი გადაცემულ იქნა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

- ქალაქ ქობულეთში, ჭავჭავაძის ქუჩის სკვერში დაირგო 42 ძირი ვერცხლის ფერი კვიპარისი.

- ქალაქ ქობულეთში, მუზეუმის მიმდებარე სკვერში დაირგო 25 ძირი კამელია.

- ნოემბრის თვეში განხორციელდა, ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე დეკორატიული მცენარეების გადაზამთრებისთვის მომზადება, ჭიგოების დასობა, შეკვრა შეფუთვა.

- სარემონტო ჯგუფის მიერგანხორციელდა ქალაქ ქობულეთში, სანაპირო ზოლში დაზიანებული სკამების დემონტაჟი, რომელიც დასაწყობებულ იქნა შპს ,,ტრანსრეგულირების“ ეზოში.

- გაიწმინდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირედ მდებარე შადრევანი.

დეკემბრის თვეში შესრულებული სამუშაოს შესახებ - შემოსული განცახდებების საფუძველზე: ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე მოიჭრა 6 ძირი ფიჭვის ხე, რომელიც გადაცემულ იქნა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

- დამუშავებული იქნა საშეშე მერქნად სტიქიის შედეგად ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე წაქცეული 2 ძირი ფიჭვის ხე, რომელიც გადაეცა სოციალურად დაუცვლელ ოჯახებს.

- განხორციელდა ქალაქ ქობულეთში სანაპირო ზოლის მოწესრიგება: გასუფთავდა სტიქიის შედეგად ამოყრილი ქვიშისგან, შერემონტდა დაზიანებული სკამები, გასწორდა და ხელახლა შეიკვრა ვაშინგტონის ჯიშის პალმები.

- სარემონტო ჯგუფის მიერ განხორციელდა სტიქიის შედეგად ქალაქ ქობულეთში, კომახიძის ქ.№165ა, მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლზე დაზიანებული სახურავის დემონტაჟი და დასაწყობება შპს ,,ტრანსრეგულირების“ ეზოში.

- გაიწმინდა მუნიციპალიტეტის წინ მდებარე შადრევანი.

სულ 2021 წლის განმავლობაში საშეშე მერქანით დაკამყოფილებული იქნა 37 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

ზემო აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებდა 19 მუშა, გამოყენებულ იქნა ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"-ს ბალანსზე რიცხული ოთხი ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

საკრებულოს თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასეს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"-ს შესრულებული სამუშაოები, მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელს გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა (ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

13. ა(ა) იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი"-ს 2022 წლის 28 თებერვლის N23 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა შპს ,,ქობულეთის სოფლის წყალი"-ს დირექტორმა სულიკო თხილაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალი",რომელსაც გააჩნია ოთხი სარემონტო ბრიგადა, რომელიც ემსახურება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის წყალსადენებს კერძოდ: 22 წყალსადენის სისტემას, საიდანაც სასმელი წყალი მიეწოდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის მიახლოებით 62 400 სულს (22 000 ოჯახს).

ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი"-ს საშტატო ერთეული შეადგენს 123 კაცს და შტატგარეშე მოსამსახურე 10 კაცს. ბიუჯეტი მთლიანად 1 053 060 ლარს, აქედან შრომის ანაზღაურება გეგმით გათვალისწინებული იყო 415 830 ლარი, რომელიც გაიხარჯა მთლიანად, ოფისის ხარჯი 305 520 ლარი, აქედან გაიხარჯა 305 382 ლარი, ანუ 138 ლარით ნაკლები, რბილი ინვენტარი 6000 ლარი, რომელიც გაიხარჯა მთლინად და შეძენილ იქნა სამუშაო ტანსაცმელი სარემონტო ბრიგადისთვის,ტრანსპორტის ხარჯი 131 000 ლარი, გაიხარჯა 126 407 ლარი, ანუ 4593 ლარით ნაკლები, სხვა საქონელი და მომსახურება გეგმით გათვალისწინებულ იყო 152 885 ლარი, გაიხარჯა მთლიანად არაფინანსური აქტივები გეგმით გათვალისწინებული იყო 13 400 ლარი, რომელიც გაიხარჯა მთლიანად-შეძენილ იქნა კომპიუტერი, პრინტერი, პოლიეთილენის მილის ელექტრო შემადუღებელი აპარატი და ჰაერის კომპრესორი.

2021 წლის განმავლობაში დაზიანებული მონაკვეთების შესაკეთებლად ჩვენს სამსახურს ჰქონდა 3000 გასვლა სარემონტო სამუშაოებისთვის, სადაც შევაკეთეთ, როგორც სათავე ნაგებობაზე არსებული, ასევე მაგისტრალური და შიდა გაყვანილობის ავარიული მონაკვეთები,გარდა ამისა ყოველ თვეში ერთხელ ირეცხებოდა და დეზინფექცია უტარდებოდა სასმელი წყლის რეზერვუარებს. ასევე პერიოდულად ხდებოდა სათავე ნაგებობების გაწმენდა ნატანისგან.

2021 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გარემონტდა სათავე ნაგებობა, საფილტრები, შეიცვალა ცენტრალური მაგისტრალური წყლის მილები, კერძოდ სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელეში, სოფელ ქვედა აჭყვასა და ზედა აჭყვაში, ასევე მოხდა სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მუხაესტატეს რეზერვუარს და შეიცვალა წყალსადენის შიდა მაგისტრალური მილები, მოეწყო 2 ჭაბურღილი. ასევე მერიის მიერ შეძენილ იქნა სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილები.

დავით წულუკიძე - დაინტერესდა ციხისძირის მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს თუ მიეწოდება ვარგისიანი სასმელი წყალი? თუ მოგვარდა სათავე ნაგებობების პრობლემა?

ია მესხიძემ - სოფელ ლეღვაში სასმელი წყლის უვარგისობის პრობლემა დაასახლა, მისი თქმით ზაფხულობით ხშირად წყალი არ არის, თუმცა თუ არის დასალევან არ გამოიყენება. სოფლეში ყველა დამოკიდებულია წყაროზე ან ნაყიდ სასმელი წყლზე, მისი თქმით სოფელ ლეღვაში არსებულ სათავე ნაგებობას ფილტრი არა აქვს. ის დაინტერესდა თუ როდის მოგვარდება ეს პრობლემა?

სულიკო თხილაიშვილის - განმარტებით ყველა სოფელში წვიმის დროს წყალი იმღრევა რის შემდეგ ხდება წყლის დაქლორვა და გაწმენდვა. მისი თქმით წყაროზე დაერთებული შერეული წყალი ქმნის მღვრიე წყალს. მისი მხრიდან იქნება ყურადღება გამახვილებული, ასევე უახლოეს მომავალში აჭარის წყლის ალიანსი მოაგვარებს წყლის დებეტის პრობლემას.

დავით მჭელიშვილის თქმით წყალი კონტროლირებადია, ორგანიზაცია მუშაობს დიდი პასუხისმგებლობით, მან მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელს და თანამშრომლებს გაწეული მუშაობისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა (ა) იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალი"-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 წევრი.

პარტია ,,გახარია საქართველო"-სთვის წარმომადგენელმა ია მესხიძემ ითხოვა სიტყვით გამოვლა, მან გააკეთა განცხადება მომხდარ ინციდენტან დაკავშირებით, მისი სურვილია, რომ საკრებულოს მუშაობა გვიწევდეს აკადემიურად და ორგანიზებულად, რომ შეგვეძლოს მოსმენა ერმანეთის მოსაზრების. მისი თქმით პარტია გახარიას მოსაზრებით და ხედვით ოპოზიციური ძალა არც საკრებულოში, არც პარლამენტში და არც ქვეყანაში ზოგადად არ უნდა ნიშნავდეს დებოშის ამტეხ ძალას. მან დააყენა ინიცირება ქობულეთის ურბანული განვითარებისა და სანაპირო ზოლის შემუშავების საკითხთან დაკავშირებით, მისი თქმით ქობულეთს სჭირდება მოვლა-პატრონობის დოკუმენტის შექმნა ქალაქის რეკრიაციული ზოლის გადასარჩენად. მან ყურადღება გაამახვილა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, მიუხედავად ბევრ საქმის გაკეთებისა, ტურისტული სეზონის დადომის დროს სანაპირო თავიდან ბოლომდე მოწესრიგებული არ არის მაგალითად; საშხაპეები, გამოსაცვლელები სასმელი წყლის შადრევნები და ა.შ. კარგი იქნება ეს საკითხები დადგეს დღის წესრიგში და შეიქმნას კომისია, როგორც მმართველი გუნდის ასევე ოპოზიციის მხრიდან, რომელსაც აქვს უფლება შეიტანოს ქობულეთის განვითარებაში თავისი წვლილი. მისი თქმით ქობულეთის სანაპირო ზოლის მოსაწესრიგებლად უპირველესად აუცილებელია შეიქმნას მისი მოვლა პატრონობის დოკუმენტი კარგი სწორი ექსპლუატაციის და ეკოლოგიის დაცვის სახელმძღვანელო, რომელიც სხვა დანარჩენ პრობლემებსაც დაარეგულირებს. მათ შორის ნებართვების გაცემასაც. სამუშაო ჯგუფს რაც შეეხება დიდი სურვილი მაქვს გარდა არქიტექტორებისა, შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობა უფრო დიდი დოზით იყოს წარმოდგენილი, რადგან სანაპირო ზოლი ნაპირსამაგრ სამუშაობსაც გულისხმობს თავისთავად და იქაც ექსპერტთა ჩართულობაც მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ქობულეთის ურბანული განვითარების გეგმას ქობულეთს, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტს სადაც ტურისტულ სეზონში ჩართულია, როგორც ქალაქი ასევე სოფელი მთელი შესაძლებლობებით და შეიძლება ითქვას რომ მოსახლეობის ნახევარი შემოსავალს ღებულობს ტურისტული სეზონიდან, ძალიან საჭიროა გვქონდეს ასეთი ურბანული განვითარების გეგმა. რომელიც დაიცავს ქალაქის რეკრიაციულ ზონებს, მიხედავს განაშენიანების პრობლემებს. მისი

თქმით მწვანე საფარი მრავალსართულიანი შენობებითა დაფარული. მწვანე საფარს რომელიც არის ქალაქის ტერიტორიაზე მიენიჭოს ისეთი სტატუსი სადაც მშენებლობის უფლება შეიზღუდება. ეს იქნება ის დოკუმენტი, რომელიც ქობულეთის განვითარების გრძელვადიან განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილი იქნება.

მან ხაზი გაუსვა სასოფლო ტურიზმი განვითარებასაც. მისი თქმით პარტიის სურვილია მიიღოთ ყურადღების ქვეშ აღნიშნული ინიციატივა და ვითანამშრომლოთ აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

დავით მჭედლიშვილმა - დაეთანხმა იმ მიდგომას, რომ საკრებულო არის ზუსტად ის ადგილი სადაც ყველა დეპუტატს აქვს საშუალება საკუთარი აზრი გამოხატოს და ვიმსჯელოთ. რაც შეეხება წინადადებას, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ განვიხილოთ, 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა გენერალური გეგმა. რომლის მიხედვით გაწერილია ყველა დეტალი, ასევე ცვლილებები მოხდა 2019 წელს სადაც აღნიშნული დადგენილებით განსაზრვრულია სარეკრიაციული და საკურორტო ზონები, მთელი პლიაჟის 90 % სარეკრიაციო ზოლებად არის მიჩნეული. თუ აღნიშნულ ზოლებში რაიმე ცვლილებას გააკეთებთ საკანონმდებლო ინიციატივას, მოხდება განხილვა. სანაპირო ზოლში ჩატარებული სამუშაოები არის ძალიან დიდი და ზღვა საქმე. ასევე წელს იგეგმება ქობულეთის პარკის სრული რეაბილიტაცია. და მთლიანი სანაპირო ზოლში ბულვარის მოწყობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი